ტესტი ლიტერატურაში

2008

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

მხედველობაში არ მიიღება საგამოცდო ტესტის ბუკლეტში ჩაწერილი პასუხები! ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების პირობას და ისე შეავსეთ პასუხების ფურცელი. წერეთ გარკვევით, იმყოფინეთ პასუხისათვის განკუთვნილი ადგილი.

შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სწორი პასუხი.

ორივე წერითი დავალების შესრულება სავალდებულოა. შეგიძლიათ ნაშრომი ტესტის ბუკლეტში ჯერ შავად დაწეროთ, შემდეგ კი გადაათეთროთ პასუხების ფურცელში.

<u>არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი</u>. ის ნაშრომი, რომელზედაც მითითებული იქნება აბიტურიენტის სახელი და/ან გვარი, ან პიროვნების იდენტიფიკაციის სხვა საშუალება (მაგალითად, მეტსახელი), **არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ლიტერატურა

(2) **1. გაიხსენეთ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“.**
1. *განმარტეთ,* რატომ ვეღარ ბედავდნენ საპყრობილეში მყოფი შუშანიკის ნახვას მისი შვილები.
2. *გადმოეცით* ის მონაკვეთი, რომელშიც ჩანს, რომ შუშანიკი განიცდიდა თავისი სილამაზისა და დიდების ნაადრევ გაქრობას.

(2) **2. გაიხსენეთ იოვანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“.**
1. *გადმოეცით* ტექსტის ის მონაკვეთი, რომელშიც ჩანს, რომ ავტორი პირადად იცნობდა წმინდა მოწამეს.
2. *რით* იყო მნიშვნელოვანი, ავტორის თქმით, აბოს მარტვილობა?

(2) **3. გაიხსენეთ გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.**
1. *რა მიზნით* მოიწვია გუარამ მამფალმა ჯავახეთის კრება?
2. *რით* იყვნენ უკმაყოფილონი ის სასულიერო პირები, რომლებიც გუარამ მამფალს ემხრობოდნენ?

(6) **4. გაიხსენეთ გულანშაროს ეპიზოდი „ვეფხისტყაოსნიდან“.**
1. *რა* გასაჭირი ადგა ნესტან-დარეჯანს, როდესაც ფატმანმა იგი პირველად დაინახა?
2. *როგორ* მოახერხა ფატმანმა ნესტანის გაცნობა?
3. *რატომ* არ გაუმხილა თავდაპირველად ფატმანმა ქმარს ნესტანის ამბავი?
4. *როგორ* მოხვდა ნესტანი მელიქ-სურხავის სასახლეში?
5. *როგორ* დააღწია თავი ნესტანმა მელიქ-სურხავის სასახლეს?
6. *რით* დაეხმარა ფატმანი მელიქ-სურხავის სასახლიდან თავდაღწეულ ნესტანს?

(2) **5. გაიხსენეთ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“.**
1. *რამ* გადააწყვეტინა მეფეს ლეონის სიკვდილით დასჯა? (დაასახელეთ კონკრეტული მიზეზი)
2. მეფის *რა* თვისება გამოვლინდა მაშინ, როდესაც მან ლეონის სიკვდილით დასჯა გადაიფიქრა?

(4) **6. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „დავითიანი“.**
1. *რატომ* არის ავტორისათვის, მისივე სიტყვით, სახიფათო სიმართლის თქმა?
2. *რატომ* არ შეიძლება, დავითის აზრით, ტყუილის თქმა და ავის დამალვა?
3. *რა* მოხდება, ავტორის აზრით, თუ ადამიანები ჭირის დამალვას შეეცდებიან?
4. *რის* შესახებ ამბობს დავითი: „მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს“?

(2) **7. გაიხსენეთ გრიგოლ ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.**
1. ავტორის *რა* სულიერი მდგომარეობაა გამოხატული ამ ლექსში?
2. *რას* ადარებს ლექსის ფინალში ავტორი XIX საუკუნის საქართველოს?

(1) **8. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მერანი“.**
განმარტეთ, რატომ ფიქრობს ავტორი, რომ „ცუდად... არა ჩაივლის ეს, განწირულის სულისკვეთება“.

(1) **9. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „არ უკიჟინო, სატრფოო“.**
რის გამოხატვის უნარი არ შესწევს „მოკვდავსა ენას“?

(2) **10. გაიხსენეთ სოლომონისა და სოფიოს საუბარი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“.**
1. *რამ* განაპირობა, სოლომონის აზრით, ერეკლეს გადაწყვეტილება?
2. სოლომონის აზრით, *რით* შეიძლება იყოს მომხიბვლელი ქართველი ქალებისათვის ერეკლეს გადაწყვეტილება?

(2) **11. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილი“.**
1. *განმარტეთ,* როგორ არის დახასიათებული ავტორის თანადროული თბილისის ცხოვრება?

2. *განმარტეთ,* როგორ არის დახასიათებული იმავე პერიოდის მცხეთის ცხოვრება?

(2) **12. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“**
1. კონკრეტულად *საიდან* ჩანს, რომ მოსე გძელაძე უწიგნურია?
2. *რა* ხერხით მოატყუა მოსე გძელაძემ დავითი?

(2) **13. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“.**
1. *რა* მიზნით მივიდა საფარ-ბეგი თავის ძიძიშვილთან?
2. *რა* შესთავაზა ბათუმ მასთან სტუმრად მისულ საფარ-ბეგს?

(2) **14. გაიხსენეთ ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“.**
1. ხევისბერის აზრით, *რა* ამძიმებს ორი მოდალატე ოსის დანაშაულს?
2. *რამ* გადაარჩინა გუგუა თემის მოთავეების მიერ გამოტანილ განაჩენს?

(2) **15. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“.**
1. *რა* საგმირო საქმე ჩაიდინეს კვირიამ და ლელამ?
2. *განმარტეთ,* რა იდეას გამოხატავს ავტორი პოემის ფინალური სცენით.

(2) **16. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური“.**
1. *რატომ* მოაჭრა მინდიამ მარჯვენა ალუდას მიერ მოკლულ მუცალს?
2. *რა* პასუხი გასცა ალუდამ მინდიას სიტყვებს – „წაიღ, მიაკარ ქავადა“?

(2) **17. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.**
1. *რატომ* არ სურდა პლატონს, რომ მამამისს ცოლი შეერთო?
2. *რა* ნახა სიზმრად პლატონ სამანიშვილმა?

(2) **18. გაიხსენეთ ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ჰაკი აძბა“.**
1. *რა მიზნით* დაატყვევეს სოხუმელებმა შოუჰარი და ლილი?
2. *რა* უთხრა კუზმამ ჰაკის, როდესაც დარწმუნდა, რომ ნამდვილი მკვლელი უჯუში იყო?

(2) **19. მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ ვკითხულობთ:**

„რადგან მამულის წყარო ჯერ თეიმურაზის ბედოვლათობით, მერმე კი რევოლუციის წყალობით თანდათან დაშრა და, ბოლოს, სულაც მოისპო, თეიმურაზიც, მისი ოჯახიც და საქმენიც ზეთგამოლეულ ჭრაქივით დაილივნენ და დადნენ“.

1. თეიმურაზის *რა* თვისება ჩანს ამ მონაკვეთში? (ციტირება დაუშვებელია!)
2. *ამოიწერეთ* შედარება (არა უმეტეს სამი სიტყვისა).

(2) **20. კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ ვკითხულობთ:**

„მოახსენეს თუ არა გირშელს, უკუქცევას გიბრძანებსო მეფე, განრისხდა ერისთავი. ახლა ჯიბრზე გაუდგა დეიდაშვილს, თანაც გაახსენდა ფხოვში ნათქვამი მის მიერ: ჩემთან ჯიბრი გადაგიტანსო გირშელ. მაინც არ შედრკა უჯიათი ვაუკაცი, რომელსაც დასცინოდა კიდეც ხუმრობით მეფე...“

1. გირშელის *რა* თვისება ჩანს ამ მონაკვეთში? (ციტირება დაუშვებელია!)
2. *განმარტეთ,* მეფის როგორი დამოკიდებულება ჩანს გირშელის მიმართ.

(2) **21. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ ვკითხულობთ:**

„გრიგალთა სადაურ შებერვას
მისდევენ ფოთლების შვავები...
თებერვალს უხმობენ, თებერვალს,
სამრეკლოს ჯვარიდან ყვავები!“

1. *განმარტეთ,* რას აღნიშნავს „ფოთლების შვავები“.
2. *განმარტეთ,* რა განწყობილებაა გამოხატული ამ სტროფში.

(2) **22. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „ისევ ეფემერა“ ვკითხულობთ:**

„დადგა დრო, რკინამ აიდგა ენა!

ის ითხოვს პასუხს, როგორც მკვლელობა,
და სასტიკია, როგორც გეენა,
მისი სისწრაფის ულმობელობა“.

1. *დაასახელეთ,* რომელ მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი პირველ სტრიქონში.
2. *განმარტეთ,* როგორ არის დახასიათებული ეპოქა ამ სტროფში. (ციტირება დაუშვებელია!)

(2) **23. გაიხსენეთ გიორგი ლეონიძის ლექსი „ყივჩაღის პაემანი“.**

1. *რას* სთხოვს სასიკვდილოდ დაჭრილი ყივჩაღი ქალს?
2. *გადმოეცით* ლექსის ფინალური სტროფიდან ის მხატვრული სახე, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ასოციაციას იწვევს.

II. წერითი დავალება

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი. *ნაშრომი, რომელიც დავალებას არ უპასუხებს ან ენობრივად იმდენად გაუმართავი იქნება, რომ აზრის გაგება გაჭირდება, ანდა 150 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება,* **არ შეფასდება.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ შეფასდება და თხზულების მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცელი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი). პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

თითოეული წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 20.

№ 1

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ო’ჰენრის მოთხრობიდან „უკანასკნელი ფოთოლი“ (თარგმნა **მაია ნათაძემ**):

ექიმის წასვლის შემდეგ სიუ სამუშაო ოთახში გავიდა და იმდენი იტირა, რომ იაპონური ცხვირსახოცი გასაწური გახდა. მერე აიღო მოლბერტი და მხიარული სტვენით შევიდა ჯონსისთან.

– ექვსი, – თქვა ჯონსიმ თითქმის ჩურჩულით. – ახლა უფრო სწრაფად ცვივა. სამი დღის წინ ასამდე იყო, მათი დათვლა თავს მატკიებდა, ახლა კი ადვილია. აი, კიდევ ერთი გაფრინდა. ხუთიღა დარჩა.

– ხუთი რა, გენაცვალე? უთხარი შენს სიუდის.

– ფოთლები უსურვაზზე. უკანასკნელი რომ მოწყდება, მეც უნდა წავიდე... ეს უკვე სამი დღეა, რაც ვიცი. განა ექიმმა არ გითხრა?

– არასოდეს გამიგონია ასეთი სისულელე! – წამოიძახა სიუმ მომაჯადოებელი უდარდელობით. – რა კავშირი აქვს ამ დამჭკნარ ფოთლებს შენს კარგად ყოფნასთან?..

– აი, კიდევ ერთი ჩამოვარდა. უკვე ოთხიღა დარჩა, დაბნელებამდე მინდა ვნახო, უკანასკნელი როგორ მოწყდება. მერე მეც წავალ... დავიქანცე, დავიღალე ცდით, ფიქრით, როდის გავთავისუფ-

ლდები ყველაფრისაგან, როდის გავცურავ შორს, ქვევით... როგორც ეს საწყალი დაღლილი ფოთოლი?..

– ჯონსი, ჩემო კარგო, – უთხრა სიუმ და ლოგინთან დაიხარა... – ახლა ეცადე დაიძინო, მე კი ბერმანს დავუძახებ, განდეგილის დასახატად მჭირდება. ახლავე დავბრუნდები...

მოხუცი ბერმანი მხატვარი იყო, რომელიც მათი სახლის პირველ სართულზე ცხოვრობდა. სამოც წელს იყო გადაცილებული, მიქელანჯელოს მოსეს წვერი ჰქონდა და სატირის თავი პატარა ჭინკას ტანზე. ბერმანი ხელმოცარული იყო ხელოვნებაში. ორმოცი წელი სულ ფუნჯი ეჭირა ხელში, მაგრამ იმდენადაც კი ვერ მიუახლოვდა თავის ქალბატონს – ხელოვნებას, რომ მისი კაბის კალთას შეხებოდა. მუდამ შედევრის დახატვაზე ოცნებობდა, მაგრამ, ჯერჯერობით, მისი ოთახის კუთხეში მოლბერტზე გადაჭიმული ხელუხლებელი ტილო უკვე ოცდახუთი წელი იყო, რაც ამაოდ ელოდა შედევრის პირველ შტრიხს. ბერმანს კი რამდენიმე შემთხვევითი კომერციული განცხადებისა და რეკლამის მეტი არაფერი შეუქმნია. თავს იმით ირჩენდა, რომ ახალგაზრდა მხატვრები ნატურად იყენებდნენ ხოლმე, როცა პროფესიონალის დაქირავების საშუალება არა ჰქონდათ. ბერმანი გადაჭარბებით სვამდა ჯინს და დაჟინებით ლაპარაკობდა თავის მომავალ შედევრზე. სხვა მხრივ, ის პატარა ანჩხლი ბერიკაცი იყო, რომელიც დასცინოდა სინაზის ყოველგვარ გამოვლინებას და თავისი თავი ზედა სართულში მცხოვრები ორი ახალგაზრდა ქალის დასაცავად დაყენებულ ქოფაკად მიაჩნდა.

ღვიის სურნელებით* გაჟღენთილი ბერმანი სიუს თავის ჩაბნელებულ ბუნაგში დაუხვდა. სიუმ უამბო მას ჯონსის აკვიატებული ფანტაზია; უთხრა, როგორ ეშინოდა თვითონაც, რომ ჯონსი მართლაც დაჭკნება და გაფრინდება, როგორც უსურვაზის ყვითელი ფოთოლი, როცა მისი სიცოცხლესთან შემაკავშირებელი უკანასკნელი ძაფიც გაწყდება.

– როგორ, – წამოიყვირა ბერმანმა გერმანული აქცენტით, – ნუთუ არიან ქვეყნად სულელები, რომლებიც მხოლოდ იმიტომ კვდებიან, რომ უსურვაზს ფოთლები სცვივა! პირველად მესმის ასეთი რამ. აზრადაც არ მომივა თქვენთან წამოსვლა. რატომ აძლევთ ნებას, ასეთი უბადრუკი აზრები მოუვიდეს. ჩვენი საწყალი პატარა მის ჯონსი.

– ჯონსი ძალიან ავად არის, – თქვა სიუმ, – სიცხემ რაღაც უცნაური ავადმყოფური აზრებით აავსო. ძალიან კარგი, ბერმან, თუ არ გინდათ წამოსვლა, ნურც წამობრძანდებით. მაგრამ იცოდეთ, რომ აუტანელი, აუტანელი ბებერი ბუზღუნა ხართ...

– ნამდვილი ქალური მსჯელობაა, – დაიღრიალა ბერმანმა, – ვინ თქვა, რომ არ წამოვალ. ნახევარი საათია გიმტკიცებთ, წამოსასვლელად მზად ვარ-მეთქი. ღმერთო, განა მის ჯონსი ამ საშინელ სახლში უნდა ცხოვრობდეს? აი, შედევრს რომ დავხატავ, ყველანი ერთად გადავალთ აქედან.

ჯონსის ეძინა, როცა ზედა სართულში ავიდნენ. სიუმ ჩამოუშვა ფარდა და ანიშნა ბერმანს, რომ მეორე ოთახში გასულიყო. ორივენი გულის კანკალით მივიდნენ ფანჯარასთან და ერთხანს გაჩუმებულები იდგნენ, ქროდა ქარი და დაბალი, ტყვიისფერი ციდან თოვლნარევი წვიმა მოდიოდა. ძველ ლურჯ ხალათში გამოწყობილმა ბერმანმა დაიკავა განდეგილის ადგილი გადაბრუნებულ ქვაბზე, რომელიც დასახატი კლდის მაგივრობას სწევდა.

დილით, ერთი საათის ძილის შემდეგ რომ გამოიღვიძა, სიუმ დაინახა, რომ ჯონსი დაღლილი, ფართოდ გახელილი თვალებით მისჩერებოდა ჩამოშვებულ მწვანე ფარდას.

– ასწიე ფარდა, მინდა დავინახო! – თქვა მან ჩურჩულით.

სიუმ უხალისოდ შეუსრულა თხოვნა. მაგრამ დახე საკვირველებას! კოკისპირული წვიმის და ძლიერი ქარის მიუხედავად, რომელიც მთელი დაუსრულებელი ღამის განმავლობაში ქროდა, აგურის კედელზე მაინც ჩანდა ერთი ფოთოლი. ეს იყო უსურვაზის უკანასკნელი ფოთოლი. ჯერ კიდევ მუქი მწვანე ფერისა ყუნწთან, დაკბილულ კიდეებში კი უკვე შემხმარი და შეყვითლებული. ის ყოჩაღად ეკიდა ტოტზე მიწიდან ოციოდე ფუტის სიმაღლეზე.

– უკანასკნელი ფოთოლია, – თქვა ჯონსიმ. – მე მეგონა ჩამოწყდებოდა. მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა და ქარის ზუზუნი მესმოდა. დღეს ჩამოვარდება... და მერე მეც მოვკვდები.

– არა, არა, ჩემო კარგო, – თქვა სიუმ და გაწამებული სახე მეგობრის ბალიშზე დადო. შენი თავი თუ აღარ გენანება, მე მაინც შემიბრალე, აბა რა უნდა ვქნა უშენოდ?

მაგრამ ჯონსი არ პასუხობდა: ყველაზე უთვისტომო რამ ქვეყნად არის სული, რომელიც იდუმალებით მოცული შორეული მოგზაურობისათვის ემზადება. ეს უცნაური ფიქრი მით უფრო ძლიერად იპყრობდა ჯონსის, რაც უფრო სუსტდებოდა მისი კავშირი მიწასთან და მეგობრობასთან.

---

* სპირტიანი სასმელი ჯინი ღვიისაგან მზადდება.

დღე ნელ-ნელა მიიწურა და ბინდშიც კი ხედავდნენ მეგობრები ობოლ ფოთოლს, რომელიც კედელზე ასულ უსურვაზს ეკიდა. მერე, ღამე, ჩრდილოეთის ცივმა ქარმა ისევ დაბერა, წვიმა კი ისევ შეუწყვეტლად ურტყამდა ფანჯრის მინებს და წურწურით ჩამოდიოდა მაღალი ჰოლანდიური სახურავიდან.

ინათა თუ არა, ულმობელმა ჯონსიმ ფარდის აწევა მოითხოვა.

უსურვაზის ფოთოლი ისევ იქ იყო. ჯონსი დიდხანს იწვა და ფოთოლს უყურებდა. მერე დაუძახა სიუს, რომელიც გაზის ღუმელთან ბულიონს ხარშავდა.

– მართლაც რომ საძაგელი გოგო ვყოფილვარ, სიუდი, – თქვა ჯონსიმ. – რაღაც გაუგებარმა შემთხვევამ დატოვა იქ ეს უკანასკნელი ფოთოლი, რომ მენახა, რა ბოროტი ვიყავი... სიკვდილზე ფიქრი ცოდვაა. თუ გინდა ცოტა ბულიონი მომიტანე, პორტვეინი და... თუმცა არა, ჯერ სარკე მაჩვენე და ბალიშები შემისწორე. წამოვჯდები და ისე გიყურებ, როგორ მიმზადებ საუზმეს.

ერთი საათის შემდეგ მან თქვა:

– მალე ალბათ ნეაპოლის უბეს დავხატავ, სიუდი.

ნაშუადღევს ექიმი მოვიდა. რომ მიდიოდა, სიუმ რაღაც მოიმიზეზა და დერეფანში გაჰყვა.

– იმედი მომეცა, – თქვა ექიმმა და სიუდის წვრილი, აცახცახებული ხელი ხელში დაიჭირა. – შანსები გათანაბრდა. კარგი მოვლით უეჭველად გაიმარჯვებთ. ახლა კი მეორე ავადმყოფი უნდა ვინახულო, ქვედა სართულში, გვარად ბერმანი. მგონი მხატვარი უნდა იყოს. იმასაც ფილტვების ანთება სჭირს. სუსტი მოხუცია, შეტევა კი საკმაოდ მწავე აქვს. გადარჩენის არავითარი იმედი არ არის. მაინც დღეს საავადმყოფოში გადაიყვანენ. ეგებ იქ უკეთ იგრძნოს თავი.

მეორე დღეს ექიმმა უთხრა სიუს:

– საშიშროება აღარ არის. ახლა მხოლოდ კარგი კვება და მოვლაღა სჭირდება.

იმ საღამოს სიუ მივიდა საწოლთან, სადაც ჯონსი იწვა და სიამოვნებით ქსოვდა ძალიან ცისფერ და ძალიან უსარგებლო შალს, და ხელი მოჰხვია.

– ერთი რაღაცა უნდა გითხრა, ჩემო თეთრო თაგუნა, – თქვა მან, – მისტერ ბერმანი გარდაიცვალა დღეს ფილტვების ანთებით საავადმყოფოში. მხოლოდ ორი დღე იყო ავად. პირველ დილას მეკარემ ნახა მის ოთახში ტკივილისაგან მოკრუნჩხული. ფეხსაცმელი და ტანისამოსი სველი ჰქონდა და ყინულივით ცივი. მათ ვერ წარმოიდგინეს, სად შეიძლებოდა ყოფილიყო მოხუცი ასეთ საშინელ ღამეს. მერე კი ანთებული ნათურა იპოვეს, კიბე, დაფანტული ფუნჯები და პალიტრა მწვანე და ყვითელი საღებავებით. შეხედე იმ უკანასკნელ ფოთოლს კედელზე. განა არც ერთხელ არ მოგსვლია აზრად, რატომ არ ირხეოდა ქარში? ეს ბერმანის შედევრია – იმ ღამეს დახატა, უკანასკნელი ფოთოლი რომ ჩამოვარდა.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ მოხუცი ბერმანის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ, ამ ტექსტის მიხედვით როგორ იბადება შედევრი;
- გამოკვეთეთ ამ ტექსტის მთავარი სათქმელი და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება მის მიმართ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

№ 2

1914 წელს სტატიაში „ეროვნული ენერგია“ გერონტი ქიქოძე წერდა:

ჩვენს მხრებს ნათლად ატყვია იმ დროშათა დაღი, წარსულში რომ გვიტარებიაო – თქვა ერთმა გონებახვილმა ევროპელმა მწერალმა... ახალი საქართველო შეგნებულად იბრძვის ეროვნული იდეალისათვის და შეგნებულად უკავშირებს ამ იდეალებს წარსულ თაობათა საუკეთესო ანდერძს. ამ ანდერძში კი არც ერთი განძი არ არის ისეთი ძვირფასი, როგორც გაერთიანებული საქართველოს იდეა. ის არა მარტო მშვენიერი და ამაღლებულია ზნეობრივად, არამედ მომქმედი და ნაყოფიერია სოციალურად. უმაღლეს წერტილს თავის განვითარებაში მან ჩვენი ისტორიის ოქროს ხანაში მიაღწია. ამიტომ არის, რომ ახალი საქართველო, სხვათა შორის, აღორძინების ეპოქაში ეძებს შთაგონების და აღფრთოვანების წყაროს და მისი მწერლობისა, ხელოვნებისა და მსოფლიო მხედველობის ხელახლა გაცხოველებას ცდილობს.

საქართველოში კაპიტალიზმი ჯერ ნორჩი და უსუსურია, ეროვნული ენერგია – გაუშლელი. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე ჯერ დაუმუშავებელია, მისი ფარული ძალები – აუმოძრავებელი...

ცხოვრება ფილანთროპიული დაწესებულება როდია, ის არც სანატორიუმია სისხლნაკლულთა და ნერვებაშლილთათვის. ცხოვრება დიდი დრამაა, ტიტანურ ძალთა შეტაკებაა და დრამაში მხოლოდ იმას აქვს ადგილი, ვინც მუდმივ მზადაა თავდაცვისა და ბრძოლისათვის.

ქართველმა ერმა თვით უნდა გასჭედოს თავისი ბედი. მან უნდა აამოძრაოს მატერიალური, საწარმოო ძალები, მან საძირკველი უნდა ჩაუყაროს თანამედროვე მეურნეობას და ინდუსტრიას, გაწმინდოს თავისი ენა უცხო ელემენტებისაგან, შექმნას ახალი მწერლობა და ხელოვნება. უამისოდ მას ადგილი არა აქვს თანამედროვე ერთა დიდ კულტურულ ოჯახში.

ძლიერ დამახასიათებელი და საყურადღებოა ის მოვლენა, რომ, რაც უფრო მდიდარი და მრავალფერადია ამა თუ იმ ერის კულტურა, მით უფრო ფართოა მისი საერთაშორისო გავლენა. ეროვნული კულტურის ინტენსივობა და ექსტენსივობა პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ურთიერთშორის. როცა ეროვნული ენერგია განსაზღვრულ დონეზე ადის, ის ადვილად სცილდება სახელმწიფოს მიერ შემოფარგლულ ვიწრო ფარგლებს და საერთაშორისო ფაქტორად ხდება. ამიტომ საკაცობრიო ბედნიერების და წინსვლის იდეას ყველაზე უკეთ ის ხალხი ემსახურება, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, თავის ეროვნული პიროვნების გარკვევას და გამტკიცებას ცდილობს...

თანამედროვე საქართველომ უნდა შეიგნოს ის გარემოება, რომ ყველაზე დიდი ნაკლი ეროვნებისათვის უენერგიობა და უნაყოფობაა და რომ ამ ნაკლს ვერასოდეს ვერ დაფარავს უმჭევრმეტყველესი კოსმოპოლიტური ფრაზეოლოგია...

ჩვენ დღეს ეროვნული რაზმები გვჭირდება, ეროვნული დისციპლინის გამოაშკარავება და ეროვნული ენერგიის გაშლა. ჩვენ დღეს ისეთი ადამიანი გვჭირდება, ერთ ამერიკულ ანდაზაში რომ გვხვდება: „მამაკაცი, რომელიც ცოტას ლაპარაკობს და რომელსაც ხელში კარგი ჯოხი უჭირავს“.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა ფუნქცია აკისრია, ავტორის აზრით, საქართველოს აწმყოსა და მომავლისათვის „წარსულ თაობათა საუკეთესო ანდერძს“.
- იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მიხედვით ქართველი ერის ამოცანა და რა საშუალებებით უნდა შეძლოს მან ამ ამოცანის გადაჭრა.
- ჩამოაყალიბეთ საკუთარი დამოკიდებულება გერონტი ქიქოძის წერილში წამოჭრილი პრობლემატიკის მიმართ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

შავი სამუშაოსათვის

ლიტერატურის ტესტის შეფასების სქემა

1. ციხეში მყოფი შუშანიკის ნახვას მისი შვილები იმიტომ ვეღარ ბედავდნენ, რომ მათ ქრისტიანობა უარყვეს. შუშანიკი თავისი სილამაზისა და დიდების ნაადრევ გაქრობას რომ განიცდიდა, ჩანს საპყრობილეში ნათქვამ მის საყვედურში: „ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და ყუავილი ჩემი დააჭნო, შუენიერებაი სიკეთისა ჩემისაი დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა“.

1. რჯული შეიცვალეს ----------1ქ.
2. ვარსქენმა ნაადრევად ჩაკლა მისი სილამაზე და დიდება ----------1ქ.

2. ავტორი წერს: ვერ ვბედავ შენს ქებას, რადგან ეს ჩემს შესაძლებლობას აღემატება, მაგრამ დადუმებისაც მეშინია, რადგან ქრისტიანული სიყვარულით გიყვარდი, სანამ ამქვეყნად იყავი. ავტორის თქმით, აბოს მარტვილობა იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მისი ღვაწლით განახლდა ქრისტეს სიყვარული ქართველთა მიმართ და განმტკიცდა ქართველების რწმენა.

1. „სანატრელითა მით ქრისტეისმიერითა სიყუარულითა შემიყვარე მე“ ----------1ქ.
2. „სარწმუნოებაი ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა“ ---------- 1ქ.

3. გუარამ მამფალმა ჯავახეთის კრება არსენ კათალიკოსის გადასაყენებლად მოიწვია. სასულიერო წოდების ის წარმომადგენლები, რომლებიც გუარამ მამფალს ემხრობოდნენ, უკმაყოფილონი იყვნენ არსენის მამის, მირიანის, საქციელით, მცირერიცხოვან ეპისკოპოსებს მათთან შეთანხმების გარეშე რომ აარჩევინა არსენი კათალიკოსად.

1. კათალიკოსობიდან არსენის გადასაყენებლად ----------1ქ.
2. „თვინიერ განზრახვისა მათისა ძე თვისი დაადგინა კათალიკოსად“ ----------1ქ.

4. როდესაც ფატმანმა ნესტან-დარეჯანი პირველად დაინახა, დატყვევებული ნესტანი ორ ზანგ მონას ნავიდან გადმოჰყავდა. ფატმანმა გაგზავნა ოთხი მონა, რომლებმაც დახოცეს ზანგები და ნესტანი სასახლეში მიჰგვარეს ფატმანს. ფატმანმა თავის ქმარს ნესტანის ამბავი იმიტომ არ გაუმხილა, რომ ეშინოდა, უსენს ეს საიდუმლო არ გაეთქვა. მეფესთან ძღვენით მისულმა უსენმა ღვინის დალევის შემდეგ მელიქ-სურხავის გულის მოსაგებად ნესტანის ამბავი გათქვა, მეფემ კი ნესტანის სასახლეში მოყვანა ბრძანა. ნესტანმა უთხრა მცველებს: თუ არ გამაპარებთ, თავს მოვიკლავ და მეფე თქვენ დაგსჯით, გირჩევნიათ ჩემი ძვირფასი სარტყელი აიღოთ და გამაპაროთო; მცველები დახარბდნენ განძეულს და კაცის ტანსაცმელში გადაცმული ნესტანი სასახლიდან გააპარეს. მელიქ-სურხავის სასახლიდან თავდაღწეულ ნესტანს ფატმანმა ცხენი მისცა და მეფის გამოგზავნილ მონებს დაუმალა ნესტანის ამბავი.

1. ზანგი მონების ხელში იყო ----------1ქ.
2. ფატმანმა ზანგები თავის მონებს დაახოცვინა და ნესტანი სასახლეში მოიყვანა ----------1ქ.
3. ფატმანი ქმარს არ ენდობოდა ----------1ქ.
4. უსენმა გატეხა ფიცი და მეფეს ნესტანის ამბავი უთხრა ----------1ქ.
5. მცველები მოისყიდა ----------1ქ.
6. ცხენი მისცა ----------1ქ.

5. ლეონის დასჯა მეფეს რუქას ავსიტყვაობამ გადააწყვეტინა. ლეონის სიკვდილით დასჯა რომ გადაიფიქრა, მეფის სამართლიანობა გამოვლინდა (სიტყვის გაუტეხლობა...).

1. რუქას დაბეზღებამ ----------1ქ.
2. სამართლიანობა ----------1ქ.

6. დავითისათვის, მისივე სიტყვით, სიმართლის თქმა სახიფათო იმიტომ არის, რომ შეიძლება ამის შემდეგ გადასაკარგვი, გასაძევებელი გახდეს. ტყუილის თქმა და ავის დამალვა ქვეყანას არ მოუხდება. თუ ადამიანები ჭირის დამალვას შეეცდებიან, ჭირი თავს მაინც არ დამალავს. დავითი ამას ქვეყნის უბედურების (ქართველთა ნაკლის) შესახებ ამბობს.

1. შეიძლება მოუწიოს გადაკარგვა ----------1ქ.
2. ქვეყანას ავნებს ----------1ქ.
3. ჭირი არ დაიმალება ----------1ქ.
4. ქართველთა ნაკლის შესახებ ----------1ქ.

7. ამ ლექსში გამოხატულია ავტორის სასოწარკვეთა (უიმედობა, იმედგაცრუება, უნუგეშობა...). ლექსის ფინალში ავტორი XIX საუკუნის საქართველოს დანგრეულ ტაძარს ადარებს.

1. უნუგეშობა (უიმედობა) ----------1ქ.

2. დანგრეულ ტაძარს ———1ქ.

8. ავტორი ფიქრობს, რომ „ცუდად... არა ჩაივლის ეს, განწირულის სულის-კვეთება“, რადგან სწამს, რომ მის მიერ გაკვალული გზა დარჩება და სხვებს გზის სიძნელეს გაუადვილებს; ავტორმა გაუკვალავი გზა განვლო (სხვებს გზა გაუკვალა).
სწამს, რომ ამაო არ იქნება მისი თავგანწირვა ———————————————————————1ქ.

9. „მოკვდავსა ენას“ არ შესწევს უნარი, გამოხატოს მარადიული (უკვდავი) გრძნობები.
„მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“ ———————————1ქ.

10. სოლომონის აზრით, ერეკლეს გადაწყვეტილება განაპირობა დალატმა (ქართველთა „ურჩებამ“). სოლომონის აზრით, ერეკლეს გადაწყვეტილება ქართველი ქალებისათვის იმით იქნება მომხიბვლელი, რომ მათ ფუფუნებაში (პეტერბურგში) ელით ცხოვრება.
1. დალატმა ———1ქ.
2. ფუფუნებით იცხოვრებენ ———————————————————————————————————1ქ.

11. ავტორის თანადროული თბილისის ცხოვრება დახასიათებულია, როგორც ფუჭი და უაზრო („ფუჭია იგი მისი ცხოვრება, უფერულია და ცარიელი...“). იმდროინდელი მცხეთის ცხოვრება დახასიათებულია, როგორც ბრწყინვალე წარსულის ნგრეული ნაშთი („და იგი დედაქალაქი ვრცელი აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა“).
1. როგორც ფუჭი და უაზრო ———————————————————————————————————1ქ.
2. როგორც ზნეობრივად განადგურებული ———————————————————————1ქ.

12. მოსე გძელაძის უწიგნურობა ჩანს ლუარსაბისათვის მიწერილი მისივე წერილიდან. მოსე გძელაძემ დავითს სხვა (ლამაზი) ქალი აჩვენა.
1. ლუარსაბისათვის მიწერილი წერილიდან ———————————————————————1ქ.
2. სხვა ქალი აჩვენა ———————————————————————————————————————1ქ.

13. საფარ-ბეგი თავის ძიძიშვილთან დახმარების სათხოვნელად მივიდა (იმისთვის მივიდა, რომ ინალიფას ცხენის მოპარვაში დახმარება ეთხოვნა). მასთან სტუმრად მისულ საფარ-ბეგს ბათუმ შესთავაზა, რომ თვითონ წავიდოდა და მოუყვანდა იმ ცხენს (თვითონ შეასრულებდა „უკადრისს საქმეს“).
1. დახმარების სათხოვნელად ———————————————————————————————1ქ.
2. თვითონ მოიპარავდა ინალიფას ცხენს ———————————————————————1ქ.

14. ხევისბერის აზრით, ორი მოღალატე ოსის დანაშაულს ის ამძიმებს, რომ თავისი სამშობლოდან მკვლელობის გამო გამოქცეული ოსები ხევის თემმა მიიღო და შეიფარა. თემის მოთავეების მიერ გამოტანილ განაჩენს გუგუა ონისეს მიერ სიმართლის თქმამ გადაარჩინა (ონისეს სამართლიანობამ, ონისეს ვაჟკაცობამ...).
1. გაჭირვებაში ჩავარდნილ ოსებს თემმა უპატრონა ———————————————1ქ.
2. ონისეს საქციელმა ———————————————————————————————————————1ქ.

15. კვირიამ და ლელამ ბახტრიონის ციხის კარიბჭე გაუღეს ქართველთა ჯარს. პოემის ფინალური სცენით ავტორი გამოხატავს საქართველოს აღორძინების იდეას.
1. ციხის კარი გაუღეს ———————————————————————————————————1ქ.
2. უკეთესი მომავლის იდეას ———————————————————————————————1ქ.

16. მინდიამ ალუდას მიერ მოკლულ მუცალს იმიტომ მოაჭრა მარჯვენა, რომ ხევსურთათვის თავისი მეგობრის სიმართლე დაემტკიცებინა. მინდიას სიტყვებზე – „წაიღ, მიაკარ ქავადა“ ალუდამ უპასუხა: ხელის მოჭრა რომ მდომოდა, განა თავად ვერ მოვაჭრიდიო (ცუდად მოქცეულხარო...).
1. ალუდა რომ გაემართლებინა ———————————————————————————————1ქ.
2. „ვერ გიქნავ კარგად, მინდიავ, საქმე მოგირთავ ავადა...“ ———————————1ქ.

17. პლატონს ეშინოდა, რომ მამამისს ახალი ცოლისაგან შვილი გაუჩნდებოდა და ქონების (მამულის) გამყოფი (მოზიარე) ეყოლებოდა. პლატონმა სიზმრად ნახა, რომ ქონებას (მამამისის მემკვიდრეობას) ორად უყოფდნენ.
1. თავისი ღარიბული ლუკმის მოზიარე რომ არ გასჩენოდა ———————————1ქ.

2. ადგილ-მამულს ორად უყოფდნენ ----------1ქ.

18. სოხუმელებმა შოუჰარი და ლილი იმიტომ დაატყვევეს, რომ ეიძულებინათ უჯუშ ემხა გამოცხადებულიყო (არ გაქცეულიყო, არ დამალულიყო...). როდესაც დარწმუნდა, რომ ნამდვილი მკვლელი უჯუში იყო, კუზმამ ჰაკის უთხრა: „კრეისერ „შმიდტის“ სახელით განიჭებ თავისუფლებას. წადი და დაივიწყე შენი ბატონი“.

1. უჯუში რომ არ გაქცეულიყო ----------1ქ.
2. თავისუფალი ხარო ----------1ქ.

19. ამ მონაკვეთში ჩანს თეიმურაზის უმაქნისობა. „ზეთგამოლეულ ჭრაქივით დაილივნენ“

1. უხეირობა ----------1ქ.
2. „ჭრაქივით დაილივნენ“ ----------1ქ.

20. ამ მონაკვეთში ჩანს გირშელის სიჯიუტე (სიკერპე; სიმამაცე, შეუპოვრობა...). ამ მონაკვეთში ჩანს მეფის ირონიული (დამცინავი) დამოკიდებულება გირშელის მიმართ.

1. სიჯიუტე ----------1ქ.
2. ქედმაღლური ----------1ქ.

21. „ფოთლების შვავები“ აღნიშნავს მოწყვეტილი ფოთლების ნაკადს. ამ სტროფში გამოხატულია უიმედობის (მიუსაფრობის, სასოწარკვეთის, განწირულების...) განწყობილება.

1. ფოთლების ზვავს ----------1ქ.
2. დეპრესია ----------1ქ.

22. პირველ სტრიქონში ავტორი იყენებს მეტაფორას. ამ სტროფში ეპოქა დახასიათებულია, როგორც დაუნდობელი (მკაცრი და ულმობელი...).

1. მეტაფორას ----------1ქ.
2. როგორც სულიერების გამანადგურებელი ----------1ქ.

23. სასიკვდილოდ დაჭრილი ყივჩაღი ქალს სთხოვს, ხელი მოხვიოს ჭრილობაზე („მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას“). „ვარდის ფურცლობის ნიშანი არის და დრო ახალი პაემანისა!..“

1. თანაგრძნობას ----------1ქ.
2. ვარდის ფურცლობის ნიშანი არის ----------1ქ.